საქმე №დს-შ/3-15 **1 აპრილი, 2015 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე **(თავმჯდომარე),**
ვასილ როინიშვილი **(მომხსენებელი)**, ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი - ქ. ბ.

საჩივრის ავტორი - ადვოკატი შ. ხ.;

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ.;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის №158/13 გადაწყვეტილება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2013 წლის 17 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ საჩივრით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ შ. ხ-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2014 წლის 21 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ შ. ხ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის მითითებით, 2013 წლის 16 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას მოსარჩელის ადვოკატმა შ. ხ-მ

განახორციელა არაეთიკური ქმედებები, რაც სასამართლოს შემადგენლობისადმი აშკარა შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით სხდომის მიმდინარეობის დარღვევაში, წესრიგის დაცვის თაობაზე სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობასა და დარბაზის დემონსტრაციულად დატოვებაში გამოიხატა. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმის განხილვის პროცესში და შემდეგაც ადვოკატის მიერ მასმედიის საშუალებების გამოყენებით პერიოდულად კეთდებოდა არაეთიკური და უსაფუძვლო ბრალდებების შესახებ განცხადებები საქმის განმხილველი მოსამართლეების მიმართ. აღნიშნული ფაქტი კი კონკრეტული დავის შესახებ მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მცდელობას წარმოადგენს და სასამართლოს მიმართ უხეშ და აშკარა უპატივცემულობად უნდა შეფასდეს.

ადვოკატ შ. ხ-მ ეთიკის კომისიის სხდომაზე აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც კონკრეტული სამოქალაქო საქმე გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს - ვ. წ-ს, ხ. ა-სა და ა. ი-ს შემადგენლობით, მან წერილობით მიმართა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს ლ. კ-ს და განუმარტა, რომ მოსამართლეები არ იყვნენ გამოცდილი მსგავსი კატეგორიის საქმეებზე და საჭიროებდნენ შესაბამის მომზადებას. ადვოკატის განცხადებით, 2014 წლის 16 ოქტომბერს სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისას სასამართლო სხდომის დარბაზში წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია დამსწრეთა შორის, რის შემდეგაც შ. ხ-მ დამსწრეთა დამშვიდება სცადა. აღნიშნული შემთხვევის გამო მოსამართლემ იგი დააჯარიმა. შ. ხ-მ ასევე განმარტა, რომ მისი მხრიდან მასმედიის საშუალებების გამოყენებით უსაფუძვლო და არაეთიკურ ბრალდებებს საქმის განმხილველი მოსამართლეების მიმართ და მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მცდელობას ადგილი არ ჰქონია. საქმის რეზონანსულობისა და მოსამართლეზე ზეწოლის მაღალი ალბათობიდან გამომდინარე, მან მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით არაერთხელ მიმართა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებს.

ადვოკატის მითითებით, მოსამართლე იყო ტენდენციური, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ეთიკის კომისიას მხოლოდ ორი თვის შემდეგ მიმართა. მოსამართლის ქმედების მიზანი უკანონოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გადაფარვა და ადვოკატის გაჩუმება იყო, რათა არ გამჟღავნებულიყო ის უკანონო ქმედებები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების დროს ჰქონდა ადგილი.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ადვოკატი შ. ხ. ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" ნორმებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა-ჩადენაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34.1. მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 16 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც მხარის წარმომადგენლად მონაწილეობდა ადვოკატი შ. ხ., სხდომას თავმჯდომარეობდა მოსამართლე ვ. წ. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა საჩივრის (მომართვის) ავტორს სხდომის დარბაზში ადვოკატის ქმედებების გამო. ეთიკის კომისიის წინაშე საჩივრის (მომართვის) ავტორის მხრიდან წარდგენილ იქნა 2013 წლის 16 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმის ვიდეო და აუდიო არასრული ჩანაწერები. აღნიშნული DVD დისკი იძლევა საშუალებას სასამართლო პროცესზე ამოცნობილ იქნეს ადვოკატ შ. ხ-ს როგორც მოქმედება, ასევე რეპლიკა. ადვოკატი მოსამართლეთა უნებართვოდ ტოვებს სხდომის დარბაზს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებისას სიტყვებით - „როგორ არ გრცხვენიათ“, „თქვენი დროც მოვა“. ამავე დროს ადვოკატი თითების ჟესტიკულაციით ახდენს ამ სიტყვათა დემონსტრირებას. ადვოკატმა აღნიშნული ქცევით დატოვა სხდომის დარბაზი დამსწრე პირებთან ერთად მაშინ, როცა მოსამართლე აცხადებდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, რა დროსაც დამსწრე პირებისგან გაისმა რეპლიკა, რამაც გამოიწვია მოსამართლის მიერ დამსწრე პირთა დაჯარიმება. ამ სხდომაზე ადვოკატი შ. ხ. დაჯარიმდა მოსამართლის მიერ სასამართლოს უპატივცემულობისა და განკარგულების შეუსრულებლობის გამო.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატ შ. ხ-ს მხრიდან დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“, „არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი - „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს, ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“.

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ თავის პოზიციაში გადმოცემული სასამართლო სხდომამდე არსებული მდგომარეობა, თუნდაც მისი გათვალისწინების თვალსაზრისით, არ წარმოადგენდა რაიმე სახის (თუნდაც საპატიო) მიზეზს, რაც გაამართლებდა ადვოკატის არაპროფესიულ ქმედებას. პროფესიული ქცევა რეგულირებულია როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოს გარე ურთიერთობებში და ხშირად არსებობს პროფესიული ქცევის წესების დარღვევის საფრთხე. ადვოკატ შ. ხ-ს სიტყვიერი და ფიზიკური

ქმედებები ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც იცავს სასამართლო წარმოებისას წესრიგს და განსაზღვრავს ადვოკატის პროფესიულ დამოკიდებულებას სასამართლოსადმი. აღნიშნულ ფაქტს ასევე არეგულირებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რომლებიც მოითხოვს ადვოკატის პატივისცემას სასამართლოშო მოქმედი წესებისადმი. ამდენად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ შ. ხ-ს მიმართ დარღვეულ იქნა ზემოაღნიშნული რეგულაციები და სახეზეა დისციპლინური გადაცდომა.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა შ. ხ-მ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის მიერ მიკერძოებულად იქნა გადაწყვეტილი სასამართლო ხელისუფლების სასარგებლოდ და არა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატის მხრიდან ადგილი არ ჰქონია სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობას და უპატივცემულობას. სასამართლო პროცესის ირგვლივ გაკეთებული განცხადებები კი გაკეთდა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. საქმე, რომლის განხილვის დროსაც ჰქონდა კონკრეტულ შემთხვევას ადგილი, განსაკუთრებული სირთულისა და რეზონანსის მქონე იყო, რომლის უკან იდგა დ. კ-ს ინტერესები. ადვოკატის განმარტებით, მას გააჩნდა ინფორმაცია, რომელიც სასამართლოს ნდობის ხარისხს ეჭვქვეშ აყენებდა. იგი სწორედ ამის გამო გამოთქვამდა მოსაზრებებს, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციით და სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონით დაცულ აზრის გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებს.

ადვოკატ შ. ხ-ს მიაჩნია, რომ ეთიკის კომისიის მიერ მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეუფერებლად მკაცრია, რადგან მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია შეურაცხმყოფელ და უცენზურო გამონათქვამებს. ამასთან, ადვოკატმა შ. ხ-მ სადისციპლინო პალატის სხდომაზე დააზუსტა საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და დისციპლინური სახდელის - გაფრთხილების შეცვლა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი თ. ხ. არ დაეთანხმა წარმოდგენილ საჩივარს და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების

კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ შ. ხ-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს სახდელის დაკისრების ნაწილში და ადვოკატ შ. ხ-ს დისციპლინური სახდელის - გაფრთხილების ნაცვლად დაეკისროს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება და მიემართოს კერძო სარეკომენდაციო ბარათით, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი სრულად ჩამოთვლის ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელ დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ადვოკატისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” კანონის 71-ე მუხლის (კანონის ანალოგია) შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქმის განმხილველმა ორგანომ “...გამოიყენა უკანონო, უსამართლო, ან მიზანშეუწონელი სახდელი, რისი დადგენის შემთხვევაში სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია მითითებულ ნაწილში შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სადისციპლინო პალატის განმარტებით, ეთიკის კომისიამ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ადვოკატის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, თუ ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის შედეგად დადასტურდა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა, ასევე „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისი ნორმების დარღვევა რაც, თავის მხრივ, ეთიკის კომისიას ავალდებულებს დაადგინოს, ჩაიდინა თუ არა ადვოკატმა ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, ზემოაღიშნული კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა და მიუძღვის თუ არა ადვოკატს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში. ნებისმიერ შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარიხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების ღონისძიების შერჩევის წინაპირობას, ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება. კონკრეტულ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიის მიერ ასეთი შეფასება განხორციელებულ იქნა

არასრულად, რამაც ადვოკატის მიმართ დაკისრებული სახდელის დისციპლინურ გადაცდომასთან შეუსაბამობა გამოიწვია. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატისთვის დაკისრებული სახდელის ზომა (გაფრთხილება) მიზანშეუწონელია მოცემულ ობიექტურ გარემოებათა გავალისწინებით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2013 წლის 16 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას ადვოკატმა შ. ხ-მ მოსამართლეთა უნებართვოდ დატოვა სხდომის დარბაზი სიტყვებით: „როგორ არ გრცხვენიათ“, „თქვენი დროც მოვა“ და თითების ჟესტიკულაციით მოახდინა ამ სიტყვების დემონსტრირება. ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აღნიშნული ქმედებისთვის ადვოკატ შ. ხ-ს დაეკისრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ შ. ხ-სათვის დაკისრებული სახდელის მიზანშეუწონლობა კონკრეტული გადაცდომის ჩადენაში მისი ბრალის მცირე ხარისხს უკავშირებდა, რის გამოც გადაცდომისა და სახდელის ურთიერთშესაბამისობის დადგენის, ზოგადად სახდელის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით, მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ზომა, ვიდრე გაფრთხილებაა, ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ საქმე, რომლის განხილვის დროსაც მოცემულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებული სირთულისა და რეზონანსის მქონე იყო, დარბაზში არსებობდა დაძაბული ფონი, ამასთან, ადვოკატ შ. ხ-ს დღეის მდგომარეობით არა აქვს დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობა სხვა დისციპლინური გადაცდომისათვის, ასევე, სარგებლობს დადებითი საქმიანი და მორალური რეპუტაციით, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში ის აღიარებს საკუთარ ბრალეულობას, თუმცა მიაჩნია, რომ მისი მხრიდან, სასამართლოს მიუკერძოებლობისა და არაობიექტურობის შესახებ ეჭვისა და მოსაზრების გამოთქმა მისი უფლებაა და ამ თვალსაზრისით მისი ქმედებები არ არის გამოსული ეთიკის კოდექსის ჩარჩოებიდან.

სადისციპლინო პალატა არ იზიარებს ადვოკატთა ასოციაციის პოზიციას გადაცდომისა და სახდელის ურთიერთმართებულობის თაობაზე და განმარტავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისია დაეყრდნო სხდომის აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, სადაც ნათლად ჩანს, რომ სხდომის მიმდინარეობისას დარბაზში ხმაური იყო, ადვოკატი შ. ხ. თავდაპირველად თავად მოუწოდებდა ხალხს სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას გამოიყენა სიტყვები: „როგორ არ გრცხვენიათ“, „თქვენი დროც მოვა“ და გავიდა დარბაზიდან, რასაც არ ჰქონია უხეში და მკაცრი ტონალობა. ამდენად, სადისციპლინო პალატამ შეაფასა რა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სხდომის აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, მიიჩნევს, რომ სახეზეა დისციპლინური გადაცდომა, რომლისთვისაც დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება ზედმეტად მკაცრია და იგი უნდა შეიცვალოს უფრო მსუბუქი დისციპლინური

ზემოქმედების ღონისძიებით და ადვოკატ შ. ხ-ს მიემართოს კერძო სარეკომენდაციო ბარათით.

ამასთან, სადისციპლინო პალატა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ყურადღებას ამახვილებს თანამსწორუფლებიანობის პრინციპზე და მიუთითებს მის მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (გადაწყვეტილებებზე), სადაც საჩივრის ავტორი, კერძოდ სასამართლო, ადვოკატს ამხელს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაში და ამ კონკრეტულ შემთხვევებში ადვოკატს შეფარდებული აქვს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (გადაწყვეტილებები იხილეთ ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge http://gba.ge/uploads/resolutions/2014/01/27/14a1f5c5d1f1e3cb508d96df6c6a626f.pdf, http://gba.ge/uploads/resolutions/2014/12/08/92cc81b9810629032be6c45b4aa6a242.pdf)

სადისციპლინო პალატა ასევე მიუთითებს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ადვოკატისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბარდება პირადად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ” ქვეპუნქტების საფუძველზე, ცვლის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ადვოკატ შ. ხ-სათვის სახდელის დაკისრების ნაწილში, თვლის რა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გადაცდომისა და სახდელის ურთიერთშესაბამისობა დადგენილი არ არის.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლნო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „ბ“ და 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტებით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ შ. ხ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. შეიცვალოს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების ნაწილში;
3. ადვოკატ შ. ხ-ს დისციპლინური სახდელის - გაფრთხილების ნაცვლად დაეკისროს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;
4. კერძო სარეკომენდაციო ბარათი გაეგზავნოს შ. ხ-ს პირადად;
5. გადაწყვეტილება გადაეგზავნოთ მხარეებს;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/